# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № ბოი/36/06/12

ქ. თბილისი 25 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს "საქაერონავიგაცია" (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ევგენია მირიანაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ტობე" (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ჩირაძის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: კოპიტნარის აეროპორტის ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური დანიშნულების სენსორებისათვის ფუნდამენტების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა არსებული პროექტის (დანართი №1) შესაბამისად. დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის განკარგულება №1390 „კოპიტნარის აეროპორტის რეაბილიტაციის ზოგიერთ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ".

1.3. შესყიდვის ობიექტის CPV კოდი: 45262200

## მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 16 358 (თექვსმეტი ათას სამასორმოცდათვრამეტი ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს დაკავშირებულს ვალდებულებების სრულ შესრულებასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ).

## მუხლი 3. სამუშაოების შესრულების ვადა

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება დაასრულოს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

## მუხლი 4. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოები ჩაითვლება მიღებულად შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2-ისა და მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.2. შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ალექსანდრე ფოჩხუას (განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის სპეციალისტი)

## მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელედბა გაწეული სამუშაოების შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2-ისა და მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:**

6.1.1. ჰყავდეს წარმომადგენელი მშენებლობის ობიექტზე.

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე რისთვისაც გამოყოფს სპეციალურად უფლებამოსილ პირს: ალექსანდრე ფოჩხუა (განვითარებისა და პროექტების მართვის სპეციალსტი), რომელიც წინამდებარე გვერდზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტები).
6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკურლებით განსაზღვრული ვალდებულებების დროულად, ხარისხიანად და სრული მოცულებით შესრულება.
6.1.4. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
**6.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

6.2.1. მიიღოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და მოცულობით.
6.2.2. აუნაზრაუროს მიმწოდებელს გაწული სამუშაოების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
**6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

6.3.1. მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზრვრული პირობების შესაბამისად.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დადგენილ ვადებში და ხელშეკრულებით გასაზღვრული პირობების შესაბამისად.
6.4.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწული სამუშაოების ხარისხზე.

## მუხლი 7. სამუშაოთა უსაფრთხოება

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებში ჩართული პერსონალის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ რისკებს მთლიანად გასწევს მიმწოდებელი.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების ნორმები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 აგვისტომდე.

## მუხლი 9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა;
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**მუხლი 10. პასუხისმგებლობა**
10.1. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გულგრილი ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად შემსყიდველისათვის და/ან მესამე მხარისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.
10.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების ვაგადაგაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4. მხარე ვალდებულია სრულად აუნაზრაუროს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი.

**მუხლი 11. დავათა განხილვის წესი**
11.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. ზოგადი დებულებები**
12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება მოქმედად, თუკი იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ. შესაძლებელია დოკუმენტების ხელმოწერა და ფაქსით ან ელ-ფოსტით გადაცემა (სკანირებული ასლი) და ამ შემთხვევაში მათ გააჩნიათ ორიგინალის ძალა, შემდგომში ორიგინალების გადაგზავნით.
12.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 3 სამუშაო დღით ადრე.
12.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გატვალისწნებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

**მხარეთა რეკვიზიტები**

შპს "საქაერონავიგაცია"

ქ. თბილისი, აეროპორტი 0158,

ტელ: (+995 32) 744 227

საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051

სს "ბანკი რესპუბლიკა", ბანკის კოდი 220101757, ა.ა. 005467067

შპს "ტობე"

იურიდიული მისამართი – ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის №4

ტელ: 577 78-06-70; 571 55-55-01; ფაქსი: 8431-23-60-60

ელ. ფოსტა: tobet@bk.ru; tobet@posta.ge;

საიდენტიფიკაციო კოდი: 212817610.

შს „თიბისი ბანკი"-ს ქუთაისის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE10TB0300000040467579

| შემსყიდველის მხრიდან | მიმწოდებლის მხრიდან |
| --- | --- |
| შპს „საქაერონავიგაციის" | შპს "ტობე" |
| აღმასრულებელი დირექტორი | დირექტორი |
| ევგენი მიქიაშვილი | თენგიზ ჩირაძე |

# ხარჯთაღრიცხვა

**ობიექტი:** ქ. ქუთაისის (კოპიტნარის) აეროპორტი

წერტილოვანი საძირკვლების მოწყობა მეტეოროლოგიური

დანიშნულების სანსორებისათვის

| № | სამუშოს დასახლება | განზომ. | რაოდენობა | მასალები | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| | **I წს-1 საძირკვლების მოწყობა** | | | | | | | | | |
| 1 | III კატეგორიის გრუნტის დამუშავება, ექსკავატორით დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და გადატანა 8კმ მანძილზე | მ$^3$ | 37,8 | | 0 | 2,5 | 94,5 | 14 | 529,2 | 623,70 |
| 2 | ქვაბულის შევსება ღორღით | მ$^3$ | 36,7 | 20 | 734 | 2,5 | 91,8 | 7,7 | 282,59 | 1108,34 |
| 3 | წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ბეტონით B-40 | მ$^3$ | 1,32 | 170 | 224,4 | 60 | 79,2 | 12 | 15,84 | 319,44 |
| 4 | არმირება ф12 A-III | კგ | 42,83 | 1,36 | 58,25 | 0,24 | 10,3 | 0,015 | 0,64 | 69,17 |
| | ჯამი | | | | | | | | | 2120,7 |
| | **II წს-2 საძირკვლების მოწყობა** | | | | | | | | | |
| 1 | ქვაბულის დამუშავება წს-2 საძირკვლისათვის ექსკავატორით, დატვირთვა ა/თვითმცლელზე და გადატანა 8კმ მანძილზე | მ$^3$ | 63 | | 0 | 2,5 | 157,5 | 14 | 882,0 | 1039,50 |
| 2 | ქვაბულის შევსება ღორღით | მ$^3$ | 60,75 | 20 | 1215 | 2,5 | 151,9 | 7,7 | 467,8 | 1834,65 |
| 3 | წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ბეტონით B-40 | მ$^3$ | 2,7 | 170 | 459 | 60 | 162,0 | 12 | 32,4 | 653,40 |
| 4 | არმირება ф12 A-III | კგ | 83,63 | 1,36 | 113,737 | 0,24 | 20,1 | 0,015 | 1,3 | 135,06 |
| | ჯამი | | | | | | | | | 3662,6 |
| | **III წს-3 საძირკვლების მოწყობა** | | | | | | | | | |
| 1 | ქვაბულის დამუშავება წს-3 საძირკვლისათვის ექსკავატორით, დატვირთვა ა/თვითმცლელზე და გადატანა 8კმ მანძილზე | მ$^3$ | 72,08 | | 0 | 2,5 | 180,2 | 14 | 1009,1 | 1189,3 |
| 2 | ქვაბულის შევსება ღორღით | მ$^3$ | 68,7 | 20 | 1374 | 2,5 | 171,8 | 7,7 | 529,0 | 2074,7 |
| 3 | წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ბეტონით B-40 | მ$^3$ | 4,05 | 170 | 688,5 | 60 | 243,0 | 12 | 48,6 | 980,1 |
| 4 | არმირება ф12 A-III | კგ | 111,88 | 1,36 | 152,157 | 0,24 | 26,9 | 0,015 | 1,7 | 180,7 |
| | ჯამი | | | | | | | | | 4424,8 |
| | **IV წს-4 საძირკვლების მოწყობა** | | | | | | | | | |
| 1 | ქვაბულის დამუშავება წს-4 საძირკვლისათვის ექსკავატორით, დატვირთვა ა/თვითმცლელზე და გადატანა 8კმ მანძილზე | მ$^3$ | 23,88 | | 0 | 2,5 | 59,7 | 14 | 334,3 | 394,0 |
| 2 | ქვაბულის შევსება ღორღით | მ$^3$ | 22,8 | 20 | 456 | 2,5 | 57,0 | 7,7 | 175,6 | 688,6 |
| 3 | წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ბეტონით B-40 | მ$^3$ | 1,3 | 170 | 221 | 60 | 78,0 | 12 | 15,6 | 314,6 |
| 4 | არმირება ф12 A-III | კგ | 35,58 | 1 | 48,39 | 0,24 | 8,5 | 0,015 | 0,5 | 57,5 |
| 5 | 2ф50მმ-იანი მილების მოწყობა | გრძ.მ. | 2 | 2,5 | 5 | 0,5 | 1,0 | 0,1 | 0,2 | 6,2 |
| | ჯამი | | | | | | | | | 1460,8 |
| | სულ ჯამი I + II + III + IV | | | | | | | | | 11669,0 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 1166,90 |
| | ჯამი | | | | | | | | | 12835,8 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 1026,87 |
| | ჯამი | | | | | | | | | 13862,71 |
| | დღგ | 18% | | | | | | | | 2495,29 |
| | ჯამი | | | | | | | | | 16358,00 |

შპს „საქაერონავიგაცია" დირექტორი:

/ვ. მირიანაშვილი/

შპს „[illegible]"-ს გენ. დირექტორი:

/თ. ჩირაძე/